„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლიდო ასათიანი

ასპინძის სიახლენი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * აპრილი. 2023 * (2)85

სამხარეო ადმინისტრაციაში

ამ დღეებში სამცხე-ჯავახეთის რეგიონს ესტუმრა აშშ-ის ელჩი საქართველოში კელი დეგნანი. ვიზიტის ფარგლებში იგი ეწვია სამცხე-ჯავახეთის მხარის რწმუნებულის ადმინისტრაციას, რომელსაც უმასპინძლა სახელმწიფო რწმუნებულმა ბესიკ ამირანაშვილმა.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ რწმუნებულის პირველი მოადგილე დავით ვარდიაშვილი, მოადგილე შოთა როსტიაშვილი და სამხარეო ადმინისტრაციის სამსახურის ხელმძღვანელები.

შეხვედრაზე ელჩს გააცნეს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. დადებითად შეფასდა ბაკურიანში ჩატარებული სნოუბორდის, ფრისტაილისა და ფრისკის მსოფლიო ჩემპიონატი. აღსანიშნავია, რომ დაბა ბაკურიანი 2025 წელს ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალსაც უმასპინძლებს, რაც საერთაშორისო მასშტაბით ბაკურიანის, როგორც სამთო კურორტის ცნობადობას კიდევ უფრო გაზრდის.

საუბარი შეეხო აგრეთვე რეგიონის მასშტაბით მიმდინარე და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ რეგიონი კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნების ძეგლების სიმრავლით ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, მრავალფეროვანი და გამორჩეული მხარეა, მსგავსი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება კი ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აგროტურიზმის განვითარება, რაც ადგილობრივ მოსახლეობას საშუალებას მისცემს განავითარონ სოფლის მეურნეობის დარგები და მიიღონ მეტი სარგებელი. შესაბამისად ტურიზმის განვითარება პირდაპირ პროპორციულად აისახება თითოეული ოჯახისა და რეგიონის კეთილდღეობაზე.

***

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწუნებულმა ბესიკ ამირანაშვილმა სამხარეო ადმინისტრაციაში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან მორიგი სამუშაო შეხვედრა გამართა,

შეხვედრაზე განიხილეს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები. ამ ეტაპზე რეგიონის მასშტაბით დაგეგმილია 370-ზე მეტი პროექტი, რომელიც ფინანსდება როგორც რეგიონული განვითარების, ასევე მთის ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოფლის მხარდაჭერით გათვალისწინებული პროგრამის ფარგლებში. რეგიონში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა ეტაპობრივად გაიზრდება.

შეხვედრას სახელმწიფო რწუნებულის პირველი მოადგილე დავით ვარდიაშვილი, სამხარეო ადმინისტრაციის სამსახურების ხელმძღვანელები და მუნიციპალიტეტის მერები ესწრებოდნენ.

„ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამმონებელი და სათლოვრებისა შინა ცხოვრების მიმბრალებელი.“

ეს საგალობელი ეკლესიას თვით მოციქულებმა უბოძეს, სახარებასთან ერთად მას სანუკვარი სიწმინდესავით ინახავდნენ ქრისტიანული საძმოები. ქრისტიანთა დევნის ჟამს იგი ძლევის ჰიმნივით ყღერდა რომის კატაკომბებსა თუ იუდეას გამოქვაბულებში. აღდგომის ღამეს ქრისტეს აღდგომის სიხარული სულიერი ნათლის ტალღებად იღვრება მართლმადიდებლური ტაძრებიდან და წყვდიადში ჩაფლულ ღამეს სიხარულით სავსე, ბედნიერ დღედ აქცევს.

მაცხოვრის ჯვარცმა და აღდგომა კაცობრიობისა და მთელი კოსმოსის ისტორიის უმთავრესი მოვლენაა. ქრისტეს აღდგომა არის ჩვენი უკვდავების დამტკიცება.

ქრისტეს ჯვარცმითა და აღდგომით დაითრგუნა სულიერი სიკვდილი. ქრისტემ ადამიანი თავისი თავით შეცვალა და მეტაფიზიკური წყვდიადიდან ლოგოსის ნათელში გამოიყვანა. მან გვიჩვენა გადარჩენის გზა მთელი თავისი ცხოვრებით და მოგვცა სიყვარულის მაგალითი. ქრისტემ დააარსა ეკლესია თავისი საიდუმლოებებითა და ღვთისმსახურებით, რომელთა მეშვეობით ქრისტეს აღდგომა წარსულიდან აწმყოდ იქცევა.

ადამიანთა მოდგმას მიეცა საშუალება, ეკლესიის საიდუმლოებებში მონაწილეობით, ქრისტეს აღდგომის სიხარული განიცადოს, საბოლოოდ კი სული გადაირჩინოს.

„ქრისტე აღსდგა!“ – ამ სიტყვებში ჩადებულია ჩვენი რწმენის ნათელი, ჩვენი სიყვარულის სიმტკიცე და ამ სიტყვების პასუხად ეკლესია ღაღადებს: – „ჭეშმარიტად აღსდგა ქრისტე!“

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ჩვენთან არს ღმერთი!

ინგა მინაშვილი

ინტერვიუ

უფრო მეტის გაკეთებას შევძლებთ!

როსტომ მაგრაქველიძე

„ასპინძის სიახლენის“ დღევანდელი ნომრის სტუმარია ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე. შევეცადეთ მისთვის ისეთი კითხვები დაგვესვა, რაც ამ ეტაპზე მოსახლეობის დიდ ნაწილს აინტერესებს. გასული წლის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, მუნიციპალიტეტში, მოსახლეობის ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად, სოფლად თუ დაბაში ბევრი ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, რომ თითოეული მათგანი თვალშისაცემია. თუმცა უპრიანია მოსახლეობამ დეტალურად ისიც იცოდეს, წელს რა სიახლეები იქნება ამ და სხვა მიმართულებებით.

ბატონო როსტომ, ძალაში შევიდა 2023 წელი. გასულმა წელმა დაგვანახა, რომ ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა მოგვარდა, თუმცა დროის მოთხოვნების შესაბამისად თავს იჩენს როგორც დაბის, ასევე სოფლის მოსახლეობისათვის სხვა ახალი ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სოციალური საკითხების მოგვარების საკითხი. „ასპინძის სიახლენის“ წინა ნომერში მკითხველს გავაცანით მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები. ალბათ, უპრიანი იქნება გვიამბოთ, რის გაკეთებას აპირებთ მიმდინარე წელს.

– მოგესალმებით ბატონო ავთანდილ თქვენ და „ასპინძის სიახლენის“ ერთგულ მკითხველს. დიახ ისტორიის კუთვნილება გახდა 2022 წელი და ძალაში შევიდა ახალი 2023 წელი. ახალი იდეებით, ახალი სურვილებით, მეტი გამოცდილებით და მომავლის იმედით. არც ჩვენ ვართ გამონაკლისი და ახალი ენერგიით შევუდექით ახალი სამოქმედო გეგმის შესრულებას. სიახლე ისაა, რომ საგრძნობლად შეიცვალა ფინანსური მხარდაჭერა ახალ ბიუჯეტში განათლების, სპორტის, ჯანდაცვის, კულტურისა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. ჩამონათვალში შემავალ ბენეფიციართა დახმარება მინიმუმ გაორმაგდა და დაემატა ის, რომ ჩვენს წარჩინებულ სტუდენტებს, რომლებიც განათლებას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა უნივერსიტეტებში ეუფლებიან, მიეცემათ ფინანსური დახმარება – სწავლის გადასახადი. არც წარმატებული სპორტსმენები და მწვრთნელები დარჩებიან გულდაწყვეტილნი, მათი ფინანსური დახმარება სტიმული იქნება მომავალი წარმატებებისათვის. ასევე სიახლეა 2023 წლის ბიუჯეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მუხლში, თუ წინა წლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან 100%-ით ვუწევდით თანადაფინანსებას, წელს, მთავრობის ახალი დადგენილების საფუძველზე, საშუალება გვაქვს 200%-ით გავზარდოთ იგი და – ფინანსური მხარდაჭერა გავუწიოთ სოფლის მოსახლეობას უმრავლესობის მიერ შერჩეულ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში.

N	სოფელი	პროექტის დასახელება
1	რუსთავი	სარწყავი არხების რეაბილიტაცია
2	იდუმალა	სარწყავი არხების რეაბილიტაცია
3	ოშორა	სარწყავი არხების რეაბილიტაცია
4	დამალა	შიდა სასოფლო გზების საყრდენი კედლების მოწყობა
5	ივერია	სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია
6	ოთა	გზისპირა მოსაცდელების მოწყობა
7	ნიჯგორი	სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია
8	სარო	გარე განათების მოწყობა
9	ხიზაბავრა	სარწყავი არხების რეაბილიტაცია
10	თოკი	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია
11	ვარგავი	გზის რეაბილიტაცია
12	ჭობარეთი	სანიაღვრე არხების მოწყობა
13	ძველი	სანიაღვრე არხების მოწყობა
14	ორგორა	სანიაღვრე და სარწყავი არხის მოწყობა
15	საყუდაბელი	სანიაღვრე და სარწყავი არხის მოწყობა
16	აწყვიტა	გარე განათების მოწყობა
17	ხერთვისი	სკვერის რეაბილიტაცია
18	ტოლოში	სასმელი წყლის შიდა ქსელის და შიდა სასოფლო გზის საყრდენი კედლის რეაბილიტაცია
19	გელსუნდა	სოფელში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია
20	ნაქალაქევი	სკვერის რეაბილიტაცია და სველი წერტილის მოწყობა
21	ფია	საცალფეხო ხიდის რეაბილიტაცია
22	თმოგვი	მინი სტადიონის ხელოვნური საფარის მოწყობა
23	მირაშხანი	სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია
ჯამი: 294000 ლარი		

ბატონო როსტომ, გარდა გათვალისწინებული სამუშაოებისა, არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ გასულ წელს დაწყებულ, ე.წ. გარდამავალ ობიექტებზეც, რომელთა დამთავრება მიმდინარე წლისთვის არის გათვალისწინებული. მხედველობაში მაქვს დაბა ასპინძაში კულტურისა და დასვენების პარკის მშენებლობისა და მოსახლეობისათვის ხარისხიანი სასმელი წყლის მიწოდების საკითხი. კონკრეტულად როდისთვის ვარაუდობთ მათ მოგვარებას და სასმელ წყალზე დაწესდება თუ არა გადასახადები?

– დიახ. გვაქვს მრავალწლიანი შესყიდვების პრინციპით გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებიც გასულ წელს დაიწყო და გეგმა-გრაფიკით მიმდინარე წელს დასრულდება. ასეთებია სოფელ ივერიის შიდა გზისა და სანიაღვრე არხების მოწყობა, სოფელ თმოგვში საბავშვო ბაღის მშენებლობა, დაბის ცენტრში დასასვენებელი პარკის რეაბალიტაცია. პროექტები მიმდინარეობს გეგმა-გრაფიკის სრული დაცვით და დამთავრდება განსაზღვრულ ვადებში. რაც შეეხება სოფელ დამალაში სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის და მაგისტრალის რეაბილიტაციას, მინდა მკითხველ საზოგადოებას ვაუწყო, რომ სამშენებლო კომპანიამ მოახერხა და გასულ წელსვე დაამთავრა ვალდებულებით აღებული სამუშაოები. ასპინძის, ოშორის, იდუმალის, ოთის სასმელი წყლის სათავე ნაგებობებისა და მაგისტრალის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით გეტყვით, რომ სამუშაოებს აწარმოებს მუნიციპალური განვითარების ფონდი მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით და საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების სისტემის დაკვეთით. აღნიშნული საპროექტო სამუშაოების დამთავრებასა და შემდგომ წყლის საფასურის თაობაზე უპრიანი იქნება თუ ამ კომპანიისგან მივიღებთ უფრო მეტ ინფორმაციას.

ყველაზე მასშტაბურ პროექტად რომელს თვლით და რა რაოდენობის თანხა დაიხარჯება მის სარეალიზაციოდ?

– რაც შეეხება პროექტების მასშტაბურობას, ასე ვიტყოდი, რომ ყველა ის პროექტი, იქნება ეს ინფრასტრუქტურული, კულტურული, განათლების, სპორტის თუ ჯანდაცვის კუთხით, ყველა მასშტაბურია, თუ მისი შედეგები მოსახლეობის დაკვეთითაა და მათ ინტერესზეა მორგებული. ხოლო, რაც შეეხება თანხებს, ჩვენი მთავარი მიზანია, იგი ბიუჯეტიდან კანონიერად, პრიორიტეტულად და მიზნობრივად დაიხარჯოს.

ასპინძის მუნიციპალიტეტი 2023 წელი ინფრასტრუქტურა					
№	პროექტის დასახელება	SPA	სახელშეკრულები ღირებულება	სამუშაოს შემსრულებელი	პროექტის მოკლე აღწერილობა
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი 2023					

1	დაბა ასპინძაში მეფე თამარის,ერეკლე II,რუსთაველის, ტაბიძის ქუჩების და მიმდებარე ტერიტორიის (დარჩენილი სამუშაოების) რეაბილიტაცია. (აღნიშნული პროექტი დაიწყო 2021 წელს)	NAT220019274 20.09 - 03.10	463 969	ს/ნ 423099925 შპს "ალმე" ალექსანდრე მელიქიძე 591918863	პროექტით გათვალისწინებულია: ველო და საფეხმავლო ბილიკების, საპირფარეშოს, შადრევანი, ხელოვნურსაფარიანი მინისტადიონის, ჭადრაკის მოედნის, წყაროს, პარკის ტერიტორიის გამწვანება, ბანერის მე მიყვარს ასპინძა, პარკირების და პარკის ადმინისტრაციული შენობის მოწყობა.
2	სოფელ თმოგვში საბავშვო ბაღის მშენებლობა. მთლნ სახელშეკრულებო 831800ლ. (აღნიშნული პროექტი დაიწყო 2022 წელს)	NAT220018499 09.09 - 20.09	579 922	ს/ნ 424065932 შპს კ-კომპანია კობა ნადირაძე 595 17 20 60	აშენდება სტანდარეტების შესაბამისი ახალი საბავშვო ბაღი. პროექტით დაგეგმილია 3 ჯგუფი, ბავშვთა სათმაშო, საძინებელი ოთხები, სანკვანძ(ებ)ი დარბაზი, პერსონალის, ექიმის ოთხის და საწყობის მოწყობა.
3	სოფელ ივერიაში შიდა გზის რეაბილიტაცია (ნაწილი 1) მრავალწლიანი შესყიდვა. მთლნ სახელშეკრულებო 995 800 ლ. (აღნიშნული პროექტი დაიწყო 2022 წელს)	NAT220016141 11.08-01.09	183 761	ს/ნ 424071168 შპს საგზაო სამშენებლო სამმართველო №2 ავთანდილ კაჭკაჭაშვილი 551551122	პროექტით დაგეგმილია: სიგრძე 1910 მეტრის სიგანე 4-4.5მ. ა/ ბეტონის საფარის და სხვა საგზაუ ინფრასტრუქტურის მოწყობა
4	სოფელ ხიზაბავრაში შიდა გზის რეაბილიტაცია	NAT230001325 24.01 - 14.02	440 416	ს/ნ 424071168 შპს საგზაო სამშენებლო სამმართველო №2 ავთანდილ კაჭკაჭაშვილი 551551122	პროექტით დაგეგმილია: სიგრძე 860 მეტრის სიგანე 3-4.5მ. ა/ ბეტონის საფარის და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა
5	სოფელ ძველისა და ჭობარეთის სასმელი წყლის მილსადენის ქსელის რეაბილიტაცია	NAT230001326 24.01 - 14.02	399 399	ს/ნ 206046795 ნდს მშენებლობა 599 51 92 52 ზურაბ გუგეშაშვილი	პროექტით დაგეგმილია: რეაბილიტაცია ჩაუტარდება 3290 მ. წყალსადენს მოეწყობა d= 159 მმ ფოლადის მილი 150 მეტრი და d=160 მმ პოლიეთილენის მილი 3140 მეტრი. საქლორატოროს და გამანაწილებელს
6	დაბა ასპინძაში მეფე ერეკლე II ქუჩის რეაბილიტაცია	NAT230001327 24.01 - 14.02	886 800	ს/ნ 206046795 "ნდს მშენებლობა" 599 51 92 52 ზურაბ გუგეშაშვილი	პროექტით დაგეგმილია: დეკორატიულო ღობეების მოწყობა-რეაბილიტაცია. ტროტუარების რეაბილიტაცია 700 მ. (ტროტუარის მიმდებარედ კომუნიკაციების მიწაში განთვსება)
მთის ფონდი 2023					
1	სოფელ ოშორაში შიდა გზის რეაბილიტაცია *სოფელ ოშორაში შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა განხორციელდეს ორ ეტაპად 2023-2024 წლებში*	NAT230003805 20.02-13.03	983 000	ს/ნ 222725807 არალი 555095555	მოწეყობა ა/ბეტონის საფარის სიგრძე 600 მ. სიგანე 4.5მ., გზის საყრდენი კედელი 415მ. სამი მილხიდი და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურა
ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტები 2023					
1	ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობარეთის „მთის სახლის“ სარეაბილიტაციო სამუშაოები	NAT230004176 23.02-06.03	84 560	ს/ნ 400118779 შპს ალგო 2000 599142020	პროექტით დაგეგმილია: 230,3 კვ.მ შენობის სრული რეაბილიტაცია
2	ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველის საბავშო ბაღის ეზოს მოწყობა	NAT230002969 10.02-21.02	72 500	ს/ნ 423099925 შპს "ალმე" 591 91 88 63	პროექტით დაგეგმილია:საბავშვო ბაღის ეზოში 800კვ.მ. მინის ნაკვეთზე მოეწყობა სათმაშო მოედანი, ბილიკები და საბავშვო გასართობი ატრაქციონი
3	დაბა ასპინძის ქუჩებისა და ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლებში მისასვლელი გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის)სამუშაოების შესყიდვა	NAT220023276 11.11-02.12	300 000	ს/ნ 424071168 შპს საგზაო სამშენებლო სამმართველო №2 551551122	სამუშაოები მერიის მიმართვის საფუძველზე ეტაპობრივად ხორციელდება ტექნიკური დავალების შესაბანისად

როგორც ცნობილია 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის გარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დამატებით შეივსო და საგრძნობლად გაიზარდა. როგორ მიაღწიეთ მის გამოყოფას და რა მიმართულებით გაიხარჯება იგი. მუნიციპალიტეტს ბიუჯეტის დამატებით შევსებისათვის მომავალში კიდევ რა რეალური შანსი არსებობს? მოსახლეობას ძალიან აინტერესებს ასევე თუ როდის შევა ექსპლოატაციაში „რუსთავ-ჰესი“ და რა სარგებელს მოუტანს იგი მუნიციპალიტეტს.

– მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ყოველწლიურად საგრძნობლად იზრდება, როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი შემოსულობების ნაწილში. რაც წინაპირობაა იმისა, რომ კიდევ ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის. ცხადია, ჩვენი მოსახლეობის დიდ ინტერესს იწვევს ,,რუსთავ-ჰესის“ დასრულება და მისი ექსპლოატაციაში შესვლა. ამჟამად სამუშაოები უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. მშენებლობაზე ბევრი ადგილობრივია დასაქმებული, რომლებიც წლებია ფინანსურ სარგებელს პოულობენ. არც მუნიციპალიტეტია გამონაკლისი და ადგილობრივ ბიუჯეტში, ქონების გადასახადის ნაწილში, საკმაოდ სოლიდური თანხები, რაც ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობას ხმარდება. რაც შეეხება პროექტის დასრულებას, მე ვერ ვიქნები კომპეტენტური დავასახელო კონკრეტული ვადები, თუმცა პროექტის მასშტაბებიდან გამომდინარე, საკმაოდ გაგრძელდა მშენებლობის პროცესი.

რამდენიმე წლის წინ სოფელ საროს ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის შესაბამისი საპროექტო სამუშაოები ჩატარდა. თუ ამ პროექტს ხორცი შეესხა, ალბათ ხელი შეეწყობა სარო-ხიზაბავრის ტურისტულ არეალში მოხვედრას, ადგილობრივი მოსახლეობა კი ამით დიდ სარგებელსაც მიიღებს. რა ბედი ეწია ამ პროექტს.

– სოფელ საროს ინფრასტრუქტურის და ძველი მესხური ოდა-დარბაზების აღდგენის პროექტზე მუშაობა დასრულებულია და მზადაა განსახორციელებლად, მაგრამ ყველას კარგად მოეხსენება გასული 2 წელი, რაც ,,კოვიდ-19-ის“ პანდემიას უკავშირდება. რამაც სერიოზული კვალი დაამჩნია როგორც ცალკეულ ადამიანებს, ასევე სამშენებლო და ტურისტულ სფეროს, რაც პროექტის ერთ-ერთ ძირითად შემაფერხებელ მიზეზად სახელდება. პროექტის განხორციელება კი ნიშნავს ტურისტული ინფრასტრუქტურის გაზრდას და ამ სფეროს განვითარებას, რაც ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია ჩვენს ქვეყანაში და, განსაკუთრებით, ჩვენს მხარეში.

თქვენ ერთხელ ბრძანეთ, რომ ასპინძის მუნიციპალიტეტი, თავისი მდიდარი ისტორიული მემკვიდრეობის გამო, ქვეყნის რამდენიმე მუნიციპალიტეტთან ერთად მთავრობის პრიორიტეტულ მუნიციპალიტეტთა სიაში იქნა შეყვანილი, რაც, იმედია, მნიშვნელოვან სარგებელს მოუტანს მას. რა სიახლეებია ამ მიმართულებით.

– ჩვენი ქვეყანა რომ გამორჩეული და მდიდარია კულტურული მემკვიდრეობის სანიმუშო ძეგლებითა და შეუდარებელი ისტორიით, ეს ისედაც ცხადია. სწორედ ესაა ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი, რაც ხიბლავს და უდიდეს შთაბეჭდილებას ტოვებს ვიზიტორებზე, რომლებშიც დიდ ინტერესს იწვევს, ესტუმრონ ჩვენს ქვეყანას. ამ ყველაფერში კი ე.წ. ლომის წილი მიუძღვის სამცხე-ჯავახეთს და, კონკრეტულად, ასპინძის მუნიციპალიტეტს. ჩვენთან ხომ ერთდროულად შეიძლება მოინახულო უძველესი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის უიშვიათესი ძეგლები, დატკბე აქაური ბუნების სილამაზით, ეზიარო ნინაპრების მიერ სრული იდენტურობით გადმოცემულ მესხურ ტრადიციებს. დააგემოვნო უნიკალური მესხური კერძები და ისარგებლო იშვიათი სტუმართმოყვარეობით. ეს მცირედი ჩამონათვალი დასტურია იმისა, რატომაა პრიორიტეტული ჩვენი მუნიციპალიტეტის შემდგომი განვითარება, განვითარებაში კი ვგულისხმობ იმას, რომ ეს ყველა მოქალაქის კეთილდღეობაზე უნდა აისახოს.

გასულ წელს თქვენ ბრძანეთ, რომ აპირებდით მშენებარე ტაძრის გვერდით არსებული მოედნისა და ერეკლე მეორის ქუჩის რეკონსტრუქციას. რას გვეტყოდით ამის თაობაზე?

– დიახ, ვპირდებით და ეს დაპირება, ისე როგორც სხვა დაპირებები, რომელიც ჩვენს საყვარელ მოსახლეობას მივეცით, პრაქტიკულად განხორციელდება. წლის დასაწყისშივე გამოცხადებული იქნა ტენდერი ერეკლე II-ის ქუჩის სრულ რეაბილიტაციაზე საქართველოსი მოქმედი კანონის – ,,სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ სრული დაცვით. უკვე გამოვლინდა გამარჯვებული კომპანიაც. პროექტი 2 ეტაპად განხორციელდება, ეს კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ჩვენი დაბის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის.

კიდევ რომელ ისტორიულ ძეგლებთან აპირებთ მისასვლელი გზების კეთილმოწყობას და რა თანხების გამოყოფას ვარაუდობთ ამ მიმართულებით.

– ისტორიულ ძეგლებთან მისასვლელი ინფრასტრუქტურა ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია ჩვენთვის, რათა ადგილობრივ თუ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შეექმნას სრული კომფორტი – იოლად მოახერხონ ნებისმიერი ძეგლის მონახულება. ძირითადი კომპონენტი კი არასაგზაო ინფრასტრუქტურის არსებობა წარმოადგენს. მაგალითად, თუ ძეგლის რესტავრირება ხდება სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ, მუნიციპალიტეტი იტოვებს ვალდებულებას იზრუნოს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე. რაც შეეხება თანხების მოძიებას, ეს შეიძლება განხორციელდეს როგორც მუნიციპალური განვითარების ფონდიდან, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

და, ბოლოს. მინდა ჯანმრთელობა და მშვიდობა გისურვოთ თქვენ და სრულიად საქრთველოს!

თქვენც ასევე, ჯანმრთელობას და წარმატებებს გისურვებთ დაწყებული საქმეების ბოლომდე მიყვანისა და ამომრჩეველთათვის მიცემული დანაპირების შესრულებისათვის.

გმადლობთ, საინტერსო საუბრისათვის.

ინტერვიუს უძღვებოდა
ავთანდილ ბერიძე

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

ახლახან გაიმართა ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

დეპუტატებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. ,,ასპინძის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 დეკემბრის №47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. „ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3. ასპინძის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული ახალგაზრდების 2023 წლის ფინანსური დახმარების

გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 1 თებერვლის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

4. 2023 წელს ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების თაობაზე;

5. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სახელმწიფო მარაგის მიწების – ,,ფოხლიურის“ სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარის ფორმით გადაცემაზე ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ; დეპუტატებმა საკითხები ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჯვარიძემ დეპუტატებს მიაწოდა ინფორმაცია:

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2023 წელში N10-დან N29-ის ჩათვლით, გაფორმებული ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ბერიძე.

მაკა ბერიძე

სოლიდარობის ნიშნად

მიმდინარე წლის 21 მარტს, დაუნის სინდრომის მქონე პირთა საერთაშორისო დღეს, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებმა დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების სოლიდარობის ნიშნად ხელებზე ფერადი წინდები გაიკეთეს.

აქციის ფარგლებში ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ლევან ბერიძემ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, დაბაში მცხოვრები დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები მოინახულა.

წელს კამპანიის მთავარი გზავნილებია:

ჩვენ გვსურს თქვენთან ერთად ცხოვრების გაზიარება!

ჩვენ ვართ განსაკუთრებული უნარების მქონე პირები და არა შეცოდების ობიექტები!

ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ სასარგებლო ერთმანეთისთვის!

ქალთა ოთახი მოსახლეობის სამსახურშია

რამდენიმე წელია რაც ასპინძის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ქალთა ოთახი და უნდა ითქვას, რომ მან ამ ხნის მანძილზე ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩაატარა და თავისი სიტყვა თქვა ქალთა უფლებების დაცვის, ხელშეწყობისა და რიგი პრობლემების მოგვარების საქმეში. ამ მხრივ არც გასული წლის მუშაობა ყოფილა ჩენთვის უნაყოფო. საილუსტრაციოდ რამდენიმე საკითხზე მინდა მკითხველის ყურადღება გავამახვილო; ასპინძის მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით „ქალთა ოთახში“ რამდენჯერმე ჩავატარეთ ექიმ-ოფთალმოლოგის უფასო კონსულტაცია. კონსულტაცია ჩაატარა თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა „ოფთალმიჯის“ ოფტალმოლოგებმა. თუ გასულ წელს ამ სიკეთით ისარგებლა 44 ადგილობრივმა მცხოვრებმა (აქედან 28-ქალბატონმა) ახლახან ამ სიკეთით დამატებით კიდევ 40-მდე ასპინძელმა ისარგებლა.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორმა მზია პაპაშვილმა ადგილობრივ სოფლის ექთნებს ჩაუტარა ტრეინინგი ჩვილ ბავშვთა რუტინული იმუნიზაციის წესებისა და მართვის შესახებ. ტრეინინგზე დეტალურად იქნა განხილული ასაკობრივი აცრებისა და ამ აცრებით მართვადი ინფექციები და მათი მნიშვნელობა. ასევე გაჟღერებული იქნა სიახლეები იმუნიზაციის კანონმდებლობასთან დაკავშირებით. ტრეინინგი საინტერესო და შთამბეჭდავი იყო, რომელსაც ყველა სოფლის მედდა ესწრებოდა. „ქალთა ოთახში“ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის სპეციალისტმა მარინა თოფურიძემ და მაია შანშიაშვილმა კი გაეროს განვითარების პროგრამის – „ არავინ დარჩეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის მიღმა“ – ფარგლებში ტრეინინგი და სამუშაო შეხვედრა ჩაატარეს, რომელსაც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრისა და „ევექსის„კლინიკის ექიმები

ესწრებოდნენ.

„ქალთა ოთახში“ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ექსპერტ-სპეციალისტმა მაია შანშიაშვილმა გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით ამავე პროგრამის ფარგლებში ჩაატარა ტრეინინგი, რომელსაც ესწრებოდნენ „ევექსის“ კლინიკის როგორც ექიმები, ასევე სოფლის მედდები. ტრეინინგი მიეძღვნა მუნიციპალიტეტში იმუნიზაციის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდას.

დაავადებათა კონტროლის, გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის იმუნიზაციის სამმართველოს უფროსმა სპეციალისტმა ნადეჟდა ჟღენტმა, ასევე გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის ალიმენტარული და ნოზოკომიური და პარაზიტული დაავადებების სამმართველოს მთავარმა სპეციალისტმა ფიქრია შავრეშიანმა, ერთიანი ჯანმრთელობის სამმართველოს წარმომადგენელმა, მედიცინის დოქტორმა ნანა მამუჩიშვილმა მსგავსი ტრეინინგი ჩაუტარა ასპინძის „ევექსის“ ექიმებსა და სოფლის მედდებს. საკითხი ეხებოდა შემდეგ თემებს:

– მძიმე რესპირაციული ინფექციების, გრიპისა და გრიპისმაგვარ დაავადებებზე ზედამხედველობა;
– „კოვიდ-19-ის“ ვაქცინაცია საქართველოში და მისი მართვა;
– რუტინული იმუნიზაცია;
– შეტყობინებებს დაქვემდებარებული ეპიდ-ზედამხედველობა.

რამდენიმე თვის წინ სტრატეგიისა და განვითარების ცენტრის პროექტის ფარგლებში საინტერესო შეხვედრა ჩავატარეთ „კოვიდ-19-ის“ საწინააღმდეგო ვაქცინის ეფექტურობასა და მის დადებით თვისებებთან დაკავშირებით. იგი ჩაატარა ცენტრის ტრენერმა ჯუნა ტეფნაძემ. ღონისძიებას ესწრებოდა 40 წელს ზემოთ დაინტერესებული პირები.

მერიისა და ადგილობრივი ჯანდაცვის მხარდაჭერით განვახორციელეთ საშვილოსნოს ყელისა და ძუძუს კიბოს სკრინინგი და მათი პრევენცია. ტრეინინგი ჩაატარა ადგილობრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორმა მზია პაპაშვილმა. მას ესწრებოდა ასპინძის ა(ა)იპ-ის თანამშრომლები, რომლებსაც მუნიციპალიტეტის მერიისაგან გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები.

ამ დღეებში კი მუნიციპალიტეტის ადმინისრაციულ შენობაში ექიმი-ოფთალმოლოგის კიდევ ერთი უფასო კონსულტაცია გაიმართა. უფასო აქცია თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა „ოფთალმიჯმა“ ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით განახორციელა.

აქციის მიზანი იყო, კატარაქტით დაავადებული პაციენტების გამოვლენა და შემდგომ საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში მათი ქირურგიული მკურნალობა უახლესი ფაკოემულსიფიკაციის (უნაკერო) მეთოდით.

თეონა სუთიძე
ქალთა ოთახის მენეჯერი

ასპინძის ისტორიული ძეგლების შესწავლისათვის

ფია

ასპინძის მუნიციპალიტეტში, ხერთვისიდან ვარძიისკენ მიმავალი გზატკეცილის მარჯვენა მხარეს, მდინარე მტკვრის გაღმა, მოჩანს ხეხილით დაფარული ხევი, რომელზედაც წამომართულია ორმხრივი კლდე.

ამ კლდეებს შორის მდებარეობს პატარა სოფელი ფია. აღნიშნული სოფლის მოსახლეობა, თავდაპირველად, სოფელ ზედა თმოგვში ცხოვრობდნენ, შემდეგ, 1944 წელს, ისინი ნაქალაქევში ჩამოსახლდნენ, იმდროინდელი მთავრობის ხელშეწყობით, იქიდან გადასახლებული ქურთი მოსახლეობის ადგილზე, ხოლო შემდეგ, იმავე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, სოფლის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, უძველეს ნასოფლარ ფიაში გადმოსახლდნენ და აქედან იწყება ამ სოფლის ახალი ისტორიაც.

ისტორიულ წყაროებში ცნობილია, რომ სოფელი ფია ჯერ კიდევ ენეოლითის ხანაში ყოფილა დასახლებული. ხოლო მრავალი ათასი წლის შემდეგ ფია დროის შესაბამისად იცვლიდა თავის სახეს. მთავარი კი, რაც იყო – მისი ძირითადი გლეხური მეურნეობა, იგივე რჩებოდა – მებაღეობა-მემინდვრეობა და მესაქონლეობა.

ერთ-ერთ ისტორიულ ნარატიულ დოკუმენტში, XIV საუკუნის ვაჰანის ქვაბთა ტიპიკონში (საეკლესიო წესების კრებულში), ფია მოიხსენიება როგორც სოფელი და აქვე აღნიშნულია, რომ 1393 წელს ვინმე მურვან ღარიბაის ძეს შეუწირავს ვაჰანის ქვაბთა მონასტრისათვის ფიაში ნაყიდი ორი ყანა. მეორე მინაწერით თმოგველთა ასულ გულშარს მონასტრისათვის შეუწირავს ფიაში ნაყიდი ვენახი და სიტყვიერადაც ადასტურებს, რომ „ამისანი მოწამენ სრულად ფიელნი მამასახლისნი არიან“.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, XVI საუკუნის დასასრულს სოფელ ფიაში 19 კომლი გლეხი ცხოვრობდა, რომლებიც თურქ დამპყრობლებს 20 სახის 2560 აღჩის ღირებულების სხვადასხვა გადასახადს იხდიდნენ, ხოლო

შემდგომ ფიის შესახებ არავითარი ცნობები არ არსებობს. ერთი კი ყურადსაღებია: ჟამთა სვლამ სოფელი ნასოფლარად აქცია.

სოფელი ფია საინტერესოა თავისი ისტორიული ღირებულების მატერიალურ-კულტურული ძეგლებით, პირველ რიგში თავისი ეკლესიებით, რომელთაგან ერთი წმ. გიორგის სახელზეა აგებული, ხოლო მეორე წმ. თევდორეს სახელობისაა.

როგორც აქ შემორჩენილი წარწერები გვაუწყებენ, წმ. თევდორეს მცირე ეკლესია აუგია ჩქარსა და მის ძმებს.

ეკლესიის ტერიტორიაზე შემორჩენილია ოთხწახნაგა სვეტი, რომელიც ტრაპეზის დანიშნულებისა უნდა იყოს, ამოკვეთილია ექვსსტრიქონიანი

ასომთავრული წარწერა. პირველი წარწერა მოთავსებულია სვეტის თავზე, ხოლო დანარჩენი – ქვედა ნაწილში, ხოლო აქვე ბოლო ნაწილი შედგება სამი ასოსაგან, რომელიც ქორონიკონს წარმოადგენს. წარწერა მრგვლოვანია, მაგრამ ერთგვარად გადახრაც შეიმჩნევა კუთხოვნებისკენ. წარწერა პალეოგრაფისტებს შემდეგნაირად აქვთ გაშიფრული: „სახელითა ღმრთისაითა მე ჩქარმან და ძმათა ჩემთა დავდგით ესე ეკლესია ქორონიკონი იყო სიე.“ გამოანგარიშებით თუ სიე XIII მოქცევას მივაკუთნეთ, ცხადი ხდება, რომ ეკლესიის აშენების თარიღი 995 წელია (სიე – 215+780=995.

ვინ იყო ჩქარი და მისი ძმანი, მათ შესახებ ისტორიულ წყაროებს არაფერი შემოუნახავს. ერთი კი ცხადია, იგი, ალბათ, ადგილობრივი შეძლებული და დიდად ღვთისმოსაგალმეტ ფეოდალი უნდა ყოფილიყო.

მცირე ეკლესიაში შემორჩენილია კონქის მოხატულობის ფრაგმენტი – საყდარზე მჯდომი მაცხოვარი, რომელიც შესრულებით და მანერით, ტაოკლარჯეთის ფერწერულ ნიმუშს უახლოვდება, ერთიანიცაა და კამერულიც. ქრისტეს გამოსახულება და კომპოზიცია ტრადიციულია. იგი ფერისცვალების ხატს მოგვაგონებს. ქრისტეს კურთხევის ნიშნად მარჯვენა ხელი აწეული აქვს, ხოლო მარცხენა ხელში სახარება უჭირავს. გადაშლილი სახარების ერთ გვერდზე იკითხება რამდენიმე ასოს ფრაგმენტი: „მე არ ნათელ... ესე მომ...“

მეორე ეკლესია მნიშვნელოვანია როგორც ასოთმთავრული წარწერებით. ეკლესიის შესასვლელის თავზე, ტრადიციულად, ჯვარია გამოსახული. მარცხნივ – მზის საათი.

საინტერესო და ყურადსაღებია ერთი ფაქტიც: ნაქალაქარ თმოგვის ციხეზე, სამხრეთით, კლდის პატარა ქიმზე, შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები, რომელზედაც გამოსახულია საყდარს მჯდომი ქრისტეს ფრესკა.

აღნიშნული ფრესკა და კომპოზიცია, ასევე ფიის წმინდა თევდორეს სახელობის ეკლესიის ქრისტეს გამოსახულება თითქმის ერთ ანალოგს წარმოადგენს.

შესაძლებელია ორივე ეკლესიის მხატვარი ერთი და იგივე პიროვნება იყო.

1977 წელს პროფესორ თამარ ნემსაძის პროექტით ჩატარებული იქნა სარესტავრაციო სამუშაოები. აქვე როგორც აღვნიშნეთ, სოფელ ფიას სამხრეთ-დასავლეთიდან მაღალი კლდეები საზღვრავს, ეს კლდეები კარგად გამოუყენებიათ ჩვენს შორეულ წინაპრებს და ავბედითობის ხანაში გამოუკვეთიათ კლდის სოფელი მთელი თავისი საყოფაცხოვრებო დანიშნულებით, მათ შორის საწნახელები, ზედსახდელები და სამალავები. აქვეა ასევე კლდეში ნაკვეთი საცხოვრებლის სამი ნიმუში, რომლებიც ე-11 საუკუნით თარიღდება.

ასევე მის მიდამოებში, მდინარე მტკვრის დაყოლიებაზე შემორჩენილია მცირე ზომის სამონასტრო კომპლექსი ჭოლთა (დღევანდელი სახელი ჯოლდა), რომელიც VIII-IX საუკუნეებით თარიღდება. ეს ადგილი საინტერესოა იმით, რომ მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით ჯოლდაში შეიქმნა პირველი ქართული საკანონმდებლო წიგნი“ ბექა აღბუღას სამართლის წიგნი“.

მამა-პაპათა მიერ შექმნილ მემკვიდრეობას საფუძვლიანი შესწავლა და დაცვა ჭირდება. რომელიც ყველა ჩვენთაგანის უპირველესი ვალია.

როზერტ ბერიძე

მადლობა ღამაზი დღისთვის!

გაზაფხული... სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების განცდა... დიახ, დიახ! სიცოცხლის გამარჯვების!...

აბა, სხვა რაა, ცის კამარაზე ლაჟვარდად გაშლილი მზის სხივები, ეზოში თხილის ძირებზე მძივებად მობნეული ენძელები, დილის საარზე ჩიტების მშვიდი ჟღურტული და ხეებზე ასაფეთქებლად დაბერილი კვირტები...

„იდგა მარტის თვე, მზიანი და სურნელოვანი, ჩემს სამყაროში, რაღაც უცხო ფერებით თოვდა“...

ბუნების საოცრებით გაბრუებული სახლში შემოვბრუნდი, მაგიდაზე ჩემი გოგონას პაწაწინა ხელებით დაკრეფილი ენძელების კონა მიღიმოდა...

სამსახურში ჩემთვის მორთმეული ულამაზესი მოსაწვევი გადავშალე... „ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია გილოცავთ ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, 8 მარტს... გიწვევთ კონცერტზე“.

გული საგულედან ამოვარდნას ცდილობს, სუნთქვაშეკრულმა კმაყოფილად ჩავიღიმე, რომ ცოცხალი ვარ! ვიღაცას ახსოვხარ, შენს გვერდით არიან ადამიანები, რომელთაც სჭირდებათ შენი სითბო, შენი ღიმილი და სიყვარული...

ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონცერტი ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურისა და კულტურის ცენტრის მიერ იყო ორგანიზებული.

კულტურის სახლის ფოიეში ორგანიზატორების ღიმილიანი სახეები შემომეფეთა, ხელში ულამაზესი იების შეკვრა მომაწოდეს და დარბაზისკენ მიმითითეს...

საოცრად ლამაზად მორთული და განათებული დარბაზი, ლამაზი სცენა, დახვეწილი ვაჟი წამყვანები და... მათი ლამაზი კაფიები, სიმღერები, ჟღერადი დუეტები და ტრიოები, მაყურებელთა მქუხარე ოვაციები, ბევრი, ბევრი კმაყოფილი და ღიმილიანი სახე...

ამ დღის დასასრულიც ისეთივე დიდებული და სულისშემძვრელი აღმოჩნდა, როგორც დასაწყისი...

მართლაც დაუვიწყარი დღე იყო ამა წლის 8 მარტი, რომელიც კიდევ ერთხელ გაგვილამაზა ასპინძის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის და კულტურის ცენტრის თანამშრომლებმა.

უღრმესი მადლობა თითოეულ მათგანს მაღალი პროფესიონალიზმისა და ლამაზი დღისადმი.

ნათია ასპანიძე,
ასპინძის სამუსიკო სკოლის დირექტორი

სწავლა დაუფასდათ

ასპინძის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მეათეკლასელ მოსწავლეებს, რომლებსაც მე-7, მე-8 და მე-9 კლასები ათ ქულაზე, დამრგვალების გარეშე, აქვთ დამთავრებული, საჩუქრად კომპიუტერები გადაეცათ.

წარმატებულ მოსწავლეებს კომპიუტერები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის, „ჩემი პირველი კომპიუტერის“, ფარგლებში დაურიგდათ.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში კომპიუტერები გადაეცა ასპინძის, ნიჯგორის, რუსთავის, ივერიის, მირაშხანის საჯარო სკოლების 12 წარჩინებულ მოსწავლეს.

პროექტის მიზანია მოსწავლეების მოტივაციის ამაღლება, თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის გაზრდა, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლა/სწავლების მეთოდების გაძლიერება.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია ულოცავს წარჩინებულ მოსწავლეებს წარმატებას.



მატიანე

ასპინძის საშუალო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები. 1960 წელი

რობერტ ბერიძე

***

აქ ყველა მუნჯმა
ენა აიდგა,
ყეყეჩი ბრძენობს,
ბრძენი დამუნჯდა,
სიმართლეს ვეძებ
ამ საგიჟეთში,
ვდგავარ ეულად
ღმერთის იმედად.

ღმერთი კი არ ჩანს,
ნეტავ, სად არის,
მის მოლოდინმა
როგორ დამღალა,
ვლოცულობ, მაგრამ
ლოცვაც არ მშველის,
მის მოლოდინში
ეს დღეც დაღმა.

ახლადაგებულ
ტაძრების მიღმა
ეშმა ხითხითებს
აქ, რა ხანია,
და ამ ხითხითში
ადამის მოდგმის
ცოდვა და მადლი
არეულია.

არსით არა ჩანს
დღეს განმკითხავი,
ასეთ ყოფაში
ღმერთსაც კი ვკარგავთ,
ვაიმე, თითქოს,
ამ საგიჟეთში,
მეძავი ჭკუის კოლოფად
იქცა.

ხალხის ქონებით
გამდიდრებულებს
პირველკაცობა
ისევ სწადიათ,
ამ არაკაცებს
ჩვენს სავალალოდ
ქართველი ერი
ფეხზე ჰკიდიათ.

დამძიმებული ვეძებ სამართალს,
უიმედოდობით მივყვები ქუჩას,
პატიოსნებას სანთლით დავეძებ,
უნამუსობას ბოლო არ უჩანს.

სასპორტო ცხოვრება

„სპორტი ერის ღონეა!“

მცნება „სპორტი ერის ღონეა!“ – ჩვენს ყოფაში კარგა ხანია მხოლოდ ლოზუნგად რჩება და მის აღმავლობაზე ინდივიდუალურად ზრუნვაც კი, რიგ შემთხვევაში, სპონსორების ძიებაში, ფუჭად გავლილ დროს ეწირება. თუმცა, საბედნიეროდ, მაინც არსებობენ ადამიანები, რომლებიც, მიუხედავად არსებული სირთულეებისა, საყვარელი საქმის ერთგულების საფასურად, ენთუზიაზმით მუშაობენ გამოცდილების მომავალ თაობებში გასაღვივებლად.

ამ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის ყოფილი საბჭოთა კავშირის პრიზიორი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ძიუდოში, გოდერძი ველიჯანაშვილი, რომელიც წლებია ივანე ბერიძესთან ერთად ასპინძაში სპორტის ამ სახეობის აღმავლობას ემსახურება.

ჭიდაობის დარბაზში, რომელიც ადგილობრივ სასპორტო გაერთიანებას ეკუთვნის, ამჟამად ძიუდოში სხვადასხვა ასაკის 32 მოზარდი ვარჯიშობს, ძირითადად მათი ასაკი ათი წლიდან ზევით არის.

– ამ დარბაზში ბევრი წარმატებული ძიუდოისტი აღიზარდა, – გვეუბნება გოდერძი ველიჯანაშვილი – მათ შორის ლევან დავლაშერიძე, გიორგი და ლადო გვარამაძეები, ლევან მაგრაქველიძე, ბექა ბერიძე. მარიამ ფოცხვერაშვილი კი ამჟამად საქართველოს ნაკრებთან ერთად „გრანდ სლემზე“ გამოდის, სადაც მსოფლიოს 60 ქვეყანა მონაწილეობს. საამაყოა მათი წარმატებები ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის.

მიხარია, რომ ძიუდოს ბევრი მიმდევარი ჰყავს. მათი მონდომება ნამდვილად დასაფასებელია. თუმცა, უფრო მეტის გაკეთება შეგვიძლია ფინასებიც შესაბამისი რომ გვქონდეს. ყოველწლიურად 7-8 შეჯიბრებაში უნდა ვმონაწილეობდეთ, მაგრამ ვერ ვახერხებთ. ასევე გასაახლებელია სპორტული ინვენტარიც.

აღნიშნულიდან გამომდინარე კარგი იქნება თუ ბიუჯეტის დაფინანსების გარდა სპონსორებიც გამოგვიჩნდებიან და ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრაში ხელს შეგვიწყობენ. ჩვენს მხრივ კი, მზად ვართ ნორჩი სპორტსმენების დაოსტატების მიზნით ყველაფერი გავაკეთოთ, რომ მათ თავისი სიტყვა თქვან ქართული ეროვნული სპორტის აღორძინების საქმეში.

მოვუსმინოთ გოდერძი ველიჯანაშვილის სპორტული გუნდის – „ლომების“ ნორჩ სპორტსმენებს: ***ლაშა ცინაძე*** *(ასპინძის საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე):* ხუთი წელია ვვარჯიშობ და ვფიქრობ, ეს დრო ტყუილად არ დამიხარჯავს. პირიქით, ვამაყობ, რომ ძიუდოზე შევედი. მჯერა, ჩემს მიზანს აუცილებლად მივაღწევ! ძიუდო ჩემი ცხოვრებაა, რომელსაც არასოდეს მივატოვებ. ჯერჯერობით ოთხი მედალი მაქვს მოპოვებული – ერთი პირველი (ოქროს თასი) და სამი მესამე ადგილის დაკავებისათვის. ამ მიღწევებს ჩემს მწვრთნელს გოდერძი ველიჯანაშვილს ვუმადლი. მისგან მაქვს ძიუდოსადმი სიყვარული და ინტერესი.

გიორგი ზედგინიძე *(ამავე სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე)*: ექვსი წელია დავდივარ ძიუდოზე. არც მე დამიკარგავს ეს დრო ტყუილად. ძალიან მიხარია ოთხი საათის დადგომა, რადგან შემართებით მივდივარ ხოლმე ვარჯიშზე და ბოლომდე ვიხარჯები. მეც მაქვს მიღწევები – პირველი ადგილი (ოქროს მედალი) და ორი მეორე ადგილი (ვერცხლის მედლები). გოდერძი ველიჯანაშვილმა ჩემი ცხოვრება სრულიად შეცვალა.

გელა გელიაშვილი *(ამავე სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლე)*: ჯერ მხოლოდ ექვსი თვეა, რაც ძიუდოზე დავდივარ. ძალიან მიყვარს სპორტის ეს სახეობა. ყოველთვის მიხარია ვარჯიშზე მისვლა. აქ ძალიან მეგობრული გარემოა, რაც სტიმულს მაძლევს ბოლომდე დავიხარჯო და ამას ჩემს მწვრთნელს გოდერძი ველიჯანაშვილს ვუმადლი. ახლა ახალი მიზანი გამიჩნდა – ბოლომდე გავყვე სპორტის ამ სახეობას და მჯერა ჩვენს ძიუდოისტებთან ერთად აუცილებლად მივაღწევთ წარმატებებს და ვასახელებთ ჩვენს მშობლიურ საქართველოს.

გოდერძი მასწავლებლის (როგორც მას ბიჭები ეძახიან) „ლომებზე“ დაუსრულებლად შეგვიძლია ვისაუბროთ, აქ იმდენად დადებითი ემოცია და ჯანსაღი გარემოა, რომ მათი მომავალი წარმატებების იმედი გვაქვს. განსაკუთრებით დასაფასებელია სოფელ ოთის სკოლის მოსწავლეების მაგალითი, რომლებსაც ხშირად ვარჯიშინად დაღლილებს სოფელში დაბრუნება ფეხით უწევთ და ამ ყოფაში ვარჯიშს არც კი უშინდებიან. ძიუდო მათი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. დიდ სიამოვნებას და განცდას გვანიჭებს, ამდენ გულანთებულ ყმაწვილს რომ უმზერ, რომელთა მიზანი ჯანსაღი ცხოვრებით ცხოვრება და დიდ სპორტზე ოცნებაა.

მჯერა ჩვენი ნორჩი, გულანთებული სპორტსმენები მართლა მიაღწევენ დიდ წარმატებებს სპორტულ სარბიელზე რაც, უპირველესად, მშობლიური მუნიციპალიტეტის, სოფლის, ოჯახისა და მათი მწვრთნელის სახელი იქნება.

P.S. *იმედს ვიტოვებ, გამოჩნდებიან ისეთი ბიზნესმენები, რიგითი ადამიანები, რომლებიც სათანადო სპონსორობას გაუწევენ და შესაძლებლობას მისცემენ ჩვენს ნორჩ სპორტსმენებს მართლაც „ლომურად“ იასპარეზონ ქვეყნის მასშტაბით (და არა მარტო ქვეყნის) ჩატარებულ სპორტულ შეჯიბრებებში, რაც მომავალი გამარჯვებების საწინდარი გახდება.*

ინგა მინაშვილი

პირველობა ჭადრაკში

დადგა გაზაფხული და მუნიციპალიტეტის მასშტაბით განახლდა მასობრივი სპორტული ღონისძიებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში და, რაც მთავარია, შესაბამისად გაიზარდა ამ ღონისძიებებში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის აქტიური ჩართულება. ახლახან კი ასპინძის კულტურის ცენტრის ფოიეში ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა ჭადრაკში. პირველობაზე, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც კარგად იასპარეზეს ასპინძელმა მოჭადრაკეებმა.

პირველი საპრიზო ადგილი მოიპოვა ვახტანგ ველიჯანაშვილმა (დაბა ასპინძა), მეორე – ასევე ასპინძელმა ამირან კალანდაძემ, ხოლო მესამე – მირაშხნელმა ხვიჩა იაკობიძემ.

საპრიზო ადგილზე გასული მონაწილეები მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ლევან ბერიძემ შესაბამისი მედლებით, სიგელებით და თასით დააჯილდოვა, ასევე პირველი ადგილის მფლობელს საჩუქრად გადაექცა ჭადრაკი.

მუნიციპალური პირველობა ჭადრაკში გაიმართა მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ორგანიზებით.

მომავალ წარმატებებს გისურვებთ!

„საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა - 2023-ის“ ფარგლებში ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კორხის საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზში გაიმართა რეგიონული თამაშები სპორტის სახეობა ფრენბურთში.

აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობას ღებულობდა ასპინძის მუნიციპალურ თამაშებში გამარჯვებული სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლის გოგონათა და სოფელ ოშორის საჯარო სკოლის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდები.

გამარჯვებული გუნდები სამცხე-ჯავახეთის სახელით მონაწილეობას მიიღებენ „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა - 2023-ის“ ზონალურ თამაშებში.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია ულოცავს სოფელ ნაქალაქევისა და ოშორის გამარჯვებულ გუნდებს და მათ პედაგოგებს მიღწეულ წარმატებას.

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია